საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1740/01
25/02/2021

1740-01-2-202102251519

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 თებერვლის №2433 განცხადება, რომელიც ეხება ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, მერისის მადნიანი ველის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (სპილენძის, პოლიმეტალები, ოქრო) მოპოვების საკითხს.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წიაღისეულის მოპოვების ადგილის ზედაპირის ფართობია 111830710 $მ^{2.}$ ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, ტყის ფონდის ტერიტორიაზე და კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით. დოკუმენტის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ტყის ფონდის ტერიტორიისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გარდა მოიცავს ასევე ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების სხვა ტერიტორიებს, რომლის ფართობი აღემატება 25 ჰექტარს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულ ფართობებზე წიაღისეულის მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით თუ მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, **წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას**. აღნიშნულ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის დაზუსტებამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე